დამტკიცებულია დირექტორის N31; 16.12.2025 ბრძანებით

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სამოქმედო გეგმა

რუსთავი

2025

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს კანონს პროფესიული განათლების შესახებ, კანონქვემდებარე აქტებს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებსა და შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებს. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი გულისხმობს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების შეფასებასა და მონიტორინგს, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესების გზების პოვნას.

ხარისხის უზრუნველყოფა ინტეგრირებულია კოლეჯის საქმიანობის ყველა პროცესთან მიმართებით.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანებია: კოლეჯში მიმდინარე პროცესების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და უზრუნველყოფა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის ტენდენციებთან შესაბამისობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, ხარისხის კულტურის დანერგვა - განვითარება და პროფესიულ სტუდენტებსა და დასაქმებულ პერსონალზე ორიენტირება და ხელსაყრელი საგანმანათლებლო და სამუშაო გარემოს შექმნა.

ხარისხის მართვა (PDCA ციკლი)

კოლეჯი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის PDCA ციკლს:

- **P - PLAN (დაგეგმე)** - ორგანიზაციის განვითარების მიზნით, გაზომვადი, მიღწევადი მიზნებისა და ამოცანების დასახვა;

- **D - DO (განახორციელე)** - პროცესების განხორციელება, რაც ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს;

- **C- CHECK (შეამოწმე)** - მიმდინარე პროცესსა და მიღებულ შედეგებზე მონიტორინგი, მიღწეული შედეგების დასახულ მიზანთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

- **A - ACT(იმოქმედე/განავითარე)** - შესრულების პროცესის უწყვეტად სრულყოფა.

ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ყველა სტანდარტშია ინტეგრირებული. შესაბამისად, კოლეჯი გამოხატავს მზადყოფნას გააუმჯობესოს საკუთარი საქმიანობა, თითოეული პროცესის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უწყვეტი ციკლით. ხარისხის მართვის პროცესი კოლეჯში ხორციელდება სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა კითხვარები, პირისპირ ინტერვიუ და სხვა.

ხარისხის მართვის მენეჯერის 2026 – 2027 წლების სამოქმედო გეგმა

ამოცანა	შესასრულებელი მოქმედება	შესრულების პერიოდი	მტკიცებულება
ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასთან დაკავშირებული პროცედურები	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის პროცესების კოორდინირება	საჭიროებისამებრ	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება
სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია	სწავლის შედეგების შეფასების პროცესის სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის შემოწმება	2026 წლის დეკემბერი 2027 წელი - საჭიროებისამებრ	შეფასების სისტემის ვერიფიკაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია
სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი	მეცადინეობებსა და შეფასების პროცესზე დასწრება	საჭიროებისამებრ	მონიტორინგის დოკუმენტაცია, მონიტორინგის ანგარიშები
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება	სწავლის შედეგების რელევანტური თემატიკის, სასწავლო/საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსის შერჩევის, სწავლების თანამედროვე	საჭიროებისამებრ	ანგარიში

	მეთოდებისა და სწავლის შედეგების შეფასების ინოვაციური და ვალიდური ინსტრუმენტებისა და ინდიკატორების დანერგვის, სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროცესების კოორდინირება		
ხარისხის შიდა მექანიზმების გაძლიერება და ეფექტიანი შიდა მონიტორინგი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამების მუდმივი შეფასება და ანალიზი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, შეფასებისა და სასწავლო პროცესის სათანადოდ განხორციელების მიზნით შესაბამისი კითხვარების მომზადება და გამოკითხვის ჩატარება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გაანალიზება პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სერვისებთან დაკავშირებით (დასაქმება, კარიერული მხარდაჭერა, უფლებების გაცნობა, კონსულტირება, ადაპტაცია, სხვადასხვა აქტივობების შეთავაზება და სხვა)	თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი ციკლის დასრულებისას წელიწადში ერთხელ (აღნიშნული აქტივობა 2027 წლიდან დაიწყება), საჭიროებისამებრ	შეფასების ანალიზი მონიტორინგის ანგარიშები გამოკითხვის ანალიზი

მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების სრულყოფა	მატერიალური, საგანმანათლებლო და საინფორმაციო რესურსების შეფასება და მონიტორინგი	წელიწადში ერთხელ, საჭიროებისამებრ	მონიტორინგის ანგარიშები გამოკითხვის ანალიზი
პერსონალის პროფესიული ზრდის უზრუნველმყოფელი სისტემის შექმნა	პერსონალის საჭიროებების კვლევა პერსონალის შეფასება პერსონალის განვითარების ღონისძიებები ჩატარება	წელიწადში ერთხელ, საჭიროებისამებრ წელიწადში ერთხელ საჭიროებისამებრ	კვლევის ანალიზი ანგარიშები შეფასების შედეგების ანალიზი პერსონალის განვითერების გეგმა ანგარიშები